პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

კვირა, 8 ივლისი, 1945 წ. № 134 (7349). ფასი 20 კაპ.

დედებისათვის ზრუნვა და ბავშვების აღზრდა

ერთი წლის წინათ, 1944 წლის 8 ივლისს, გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“. ამ კანონით, რომელიც დიდი სამამულო ომის ვითარებაში იქნა მიღებული, საბჭოთა სახელმწიფომ დედის ღირსება ჯერ არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან ოჯახისა და ყოფაცხოვრების საკითხებს. დედა და ოჯახი ჩვენში მუდამ იყო მაღალი საზოგადოების ზრუნვის საგანი. დიდი საბჭოთა მწერალი მაქსიმ გორკი ამბობდა:

„ყოველი მშვენიერი, რაც ადამიანში არსებობს, წარმოშობილია მზის სხივების და დედის რძისაგან. აი რა გვინერგავს ჩვენ სიცოცხლის სიყვარულს!.. უმზეოდ ყვავილები არ ჰყვავიან, უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს, უქალოდ არ არსებობს სიყვარული, უდედოდ არ არსებობს არც პოეტი, არც გმირი!“

ახლა, როცა დიდი სამამულო ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს საბჭოთა დედების როლი იმ დევგმირთა აღზრდაში, რომლებმაც დაამარცხეს კაცობრიობის უბოროტესი მტერი—ჰიტლერული გერმანია.

ჩვენ ვამაყობთ დედებით, რომლებმაც აღზარდეს ნ. ადამია, შ. გამცემლიძე, ჟ. ბენდელიანი, ნ. ბერია, მ. ქანთარია, დ. ბაქრაძე, ათასობით და ათიათასობით სახელოვანი მეომარი.

ჩვენ ვამაყობთ დედებით, რომლებმაც ღირსეულად გადაიტანეს ომის მთელ მანძილზე ზურგში მუშაობის დიდი სიმძიმე, დაეხმარნენ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში.

სოციალისტურ სახელმწიფოში დედისათვის, მტკიცე ოჯახისათვის, ჯანსაღი ბავშვებისათვის ზრუნვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ მოსპო ქორწინებისა და ოჯახის მახინჯი ფორმები. მამაკაცისა და ქალის ნამდვილი თანასწორობის საფუძველზე წარმოიშვა ქორწინებისა და ოჯახის ახალი ფორმა. ამ ბაზაზე იზრდება, ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა ოჯახი—სოციალისტური საზოგადოების ის უჯრედი, სადაც იბადება ამ საზოგადოების ახალი ცვლა, ჯანსაღი შთამომავლობა — ბავშვები, სადაც იზრდებიან და ვაჟკაცდებიან ახალი ადამიანები — სოციალისტური საზოგადოების ყველაზე ძვირფასი კაპიტალი.

სახელი დედა უდიდესი პატივისცემით სარგებლობს სოციალისტურ სახელმწიფოში. დედას აკისრია დიდი, ძნელი და კეთილშობილური საქმე — აღზარდოს ახალი, ჯანსაღი თაობა. საბჭოთა დედამ იცის, რომ იგი მარტო არ არის ამ დიდ საქმეში. მას მხარს უჭერს და ეხმარება სახელმწიფო. მას არ აშინებს მატერიალური გაჭირვება. იგი არ განიცდის მორალურ ტანჯვას. მას არა აქვს შიში შვილის ბედის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი ღონისძიებაა დედისა და ბავშვის დასაცავად. უკვე ერთი წელია ეს კანონი მოქმედებაშია. ამ ხნის განმავლობაში ბევრ დედას მიენიჭა „გმირი დედის“ საპატიო სახელი, ბევრმა დედამ დაიმშვენა მკერდი „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 800-ზე მეტი დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის 21 დედას მიენიჭა „გმირი დედის“ საპატიო სახელი, ხოლო 60 დედამ მიიღო „სახელოვანი დედის“ ორდენი. რესპუბლიკის მასშტაბით სახელმწიფო დახმარება დაენიშნა 17.257 დედას. ახალი კანონის ძალაში შესვლის დღიდან სახელმწიფომ მათზე უკვე გასცა 19.704.200 მანეთი.

კოლოსალურ სახსრებს ხარჯავს სახელმწიფო ბავშვთა დაცვისა და აღზრდისათვის. წელს საბავშვო დაწესებულებების დასაფინანსებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში 75 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება. გაფართოვდა საბავშვო ბაღების, საბავშვო კერების, საბავშვო სახლების ქსელი. გარდა ამისა, ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის მოწყობილია ბანაკები საკურორტო ადგილებზე.

სად შეიძლება იყოს ასეთი მზრუნველობა დედისა და ბავშვისათვის, თუ არ სოციალისტურ სახელმწიფოში? საბჭოთა დედა ყოველივე ამას უნდა უმადლოდეს ჩვენს პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების განუხრელად განხორციელება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომებისა და დეპუტატების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებობს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილება. ამ განყოფილებების უშუალო მოვალეობაა იყვნენ დედათა და ბავშვთა ინტერესების სადარაჯოზე, მტკიცედ დაიცვან ის უფლებები, რომლებსაც კანონი აძლევს მრავალშვილიან დედებს. აღმასკომებმა ამ საქმეში უნდა ჩააბან დეპუტატები და აქტივი.

ბავშვები — სოციალისტური საზოგადოების დღევანდელ მშენებელთა ღირსეული ცვლა — მოითხოვენ ღირსეულ აღზრდას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღ, მტკიცე ოჯახში.

ყოველმხრივი დახმარება დედებს, რომელთა ხელშია მომავალი თაობის აღზრდა!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ

ჰიტლერულ გერმანიასთან ომის ძლევამოსილად დამთავრების აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან სასჯელისაგან:

ა) ისინი, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლის ვადით და უფრო ლმობიერი სასჯელი;

ბ) ისინი, ვინც მსჯავრდადებულია სამხედრო მრეწველობის საწარმოებიდან და სხვა იმ საწარმოებიდან თვითნებურად წასვლისათვის, რომლებზეც გავრცელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულების მოქმედება;

გ) სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც მსჯავრდადებული არიან განაჩენის სისრულეში მოყვანის გადადებით რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 შენიშვნის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსთა შესაბამისი მუხლების მიხედვით;

დ) ის პირნი, რომლებიც მსჯავრდადებული არიან სამხედრო დანაშაულობათათვის რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193-2, 193-5, 193-6, 193-7, 193-9, 193-10, 193-10ა, 193-14, 193-15 და 193-16 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსთა შესაბამისი მუხლების მიხედვით.

2. გაუნახევრდეთ სასჯელის დარჩენილი ვადა იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადის ზევით, იმათ გარდა, ვინც მსჯავრდადებულია კონტრრევოლუციურ დანაშაულობათათვის, სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის (1932 წლის 7 აგვისტოს კანონი), ბანდიტიზმისათვის, ყალბი ფულის კეთებისათვის, განზრახ ჩადენილი მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯისათვის.

3. მოეხსნათ ნასამართლობა:

ა) იმათ, ვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლის ვადით და უფრო მსუბუქი სასჯელი;

ბ) იმათ, ვინც მსჯავრდადებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულების მიხედვით;

გ) იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც აღნიშნული არიან ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტში.

4. შესწყდეს წარმოებით ყველა საგამოძიებლო საქმე და სასამართლოების მიერ განუხილველი საქმეები ამ ბრძანებულების გამოქვეყნებამდე ჩადენილ დანაშაულობათა გამო, რომლებისთვისაც კანონით დაწესებულია სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლის ვადით, სამხედრო მრეწველობის საწარმოთა და მათთან გათანაბრებულ საწარმოთაგან თვითნებურად წასვლის გამო, აგრეთვე სამხედრო დანაშაულობათა გამო, რომლებიც ნაჩვენებია ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტში.

დანარჩენ დანაშაულობათა საქმეების გამო სასამართლო, თუ საჭიროდ სცნობს აირჩიოს სასჯელის ზომა — თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლის ვადით,—ბრალდებულს ათავისუფლებს სასჯელისაგან: ხოლო თუ საჭიროდ სცნობს აირჩიოს სასჯელის ზომა—თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადის ზევით,—სასჯელის ვადას ამცირებს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

5. მოიხსნას ყველა გადაუხდელი ადმინისტრაციული ჯარიმა და სისრულეში მოუყვანელი ყველა ადმინისტრაციული სასჯელი, გათვალისწინებული „სამხედრო წესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლის „ა“ პუნქტში—იმ მოქმედებათათვის, რომლებიც ჩადენილია ამ ბრძანებულების გამოცემამდე.

6. ამნისტია არ შეეფარდოს იმ პირთ, რომლებიც არაერთგზის არიან მსჯავრდადებულნი გაფლანგვისა, ქურდობისა, ძარცვისა და ხულიგნობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 7 ივლისი.

ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საკავშირო კ. პ. (ბ) ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მისი 25 წლისთავის დღეს.

საბჭოთა წყობილების საფუძველზე ჩუვაშმა ხალხმა რუსეთის ფედერაციის სხვა ხალხებთან ძმური თანამშრომლობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩუვაშმა ხალხმა შექმნა და განამტკიცა თავისი სახელმწიფოებრიობა, გამოზარდა ნაციონალური კადრები და წარსულში ჩამორჩენილი ჩუვაშეთი გადააქცია საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მოწინავე მრეწველობა და განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამაღლდა ჩუვაში ხალხის კულტურა. რესპუბლიკაში მუშაობს 1.000-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, ასობით საკოლმეურნეო კლუბი, კულტურის სახლები, ქოხ-სამკითხველოები. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ჩუვაშმა ხალხმა ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩუვაშეთის რესპუბლიკის შვილებმა მამაცობა და გულადობა გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში; მრავალი ათასი მათგანი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ჩუვაშეთის რესპუბლიკის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ თავიანთი შრომით სერიოზული წვლილი შეიტანეს ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებული არიან, რომ ჩუვაშეთის რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც განუწყვეტლივ განამტკიცებენ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს ჩუვაშეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავს.

განვლილი ოცდახუთი წლის მანძილზე ჩუვაშეთის რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, დიდ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში.

დიდი სამამულო ომის დღეებში ჩუვაშეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ მაღალი პატრიოტიზმი და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულება გამოიჩინეს, ზურგში თავდადებული შრომით და ფრონტზე თავიანთი შვილების გმირობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის ხალხთა საერთო ღონისძიებებში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უსურვებს ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთ შემდგომ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩუვაშეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, აღფრთოვანებულნი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, რწმენით გამსჭვალულნი წავლენ წინ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის პატივსაცემად

7 ივლისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი ჩოიბალსანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი სსრ კავშირში ჟ. სამბუ, მონღოლეთის უნივერსიტეტის რექტორი შირენდიბი, სსრ კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მისიის მდივანი ილამჟაბი და სხვ.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ვ. ნ. მერკულოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ს. ა. ლოზოვსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ი. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის დესპანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ივანოვი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ვ. რუბინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომელნი.

სადილმა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დანიის დესპანი ბ-ნი ტ. დესინგი

6 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დანიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ტ. დესინგი მის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის თავის რწმუნებათა სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

პარტიზანთა დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარტიზანთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან: **წითელი დროშის** ორდენით — თომა აკიმის-ძე **აგლაძე, ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის** ორდენით — არსენტი მიხეილის-ძე **შუბითიძე, სამამულო ომის I ხარისხის** ორდენით — ქრისტო აკოფის-ძე **ხუხოშვილი, სამამულო ომის II ხარისხის** ორდენით — გიორგი გიორგის-ძე **ბერძენიშვილი, წითელი ვარსკვლავის** ორდენით — თამარ პავლეს-ასული **ავალიანი,** ვალერიან ფილიპეს-ძე **ბერიძე.**

მოსკოვი ემზადება დემობილიზებულ მეომართა შესახვედრად

საუბარი საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივან ი. მ. სოკოლოვთან

მოსკოვი ემზადება დემობილიზებულ გამარჯვებულ მეომართა ზეიმით შესახვედრად. მახლობელ დღეებში მოსკოვის ვაგზლებში ჩამოვლენ დემობილიზებულთა პირველი მატარებლები.

მოქმედი წითელი არმიიდან დემობილიზებულთა მიღებისა და სამუშაოზე მოწყობის ორგანიზაციის მოსკოვის საქალაქო კომისიის თავმჯდომარემ საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. მ. სოკოლოვმა საკდესის კორესპონდენტს უამბო იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან მოსკოველები ამ სასიხარულო მოვლენისათვის.

— დედაქალაქის მშრომელები ამ დღეებში შეხვდებიან საბრძოლო დიდებით მოსილ მოსკოველ მეომრებს, რომლებიც უბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს, მშვიდობიან შრომას.

მოსკოვის ყველა რაიონში შექმნილმა სპეციალურმა კომისიებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღეს დემობილიზებულთა მისაღებად. კარგად მოწყობილ სადგომებში, რომლებიც გამოყოფილია მომსვლელთათვის, იწარმოებს პასპორტებისა და სხვა დოკუმენტების გაცემა. აქ ყოველ დემობილიზებულს შეუძლია მიიღოს პასუხი მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე. მათთვის იხსნება სასადილოები, შემკეთებელი სახელოსნოები, საპარიკმახეროები, ფოტოატელიე.

ბევრი რამ კეთდება სამშობლოს დამცველთა საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის. მოსკოვისა და რაიონული საბჭოების დეპუტატები იკვლევენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მდგომარეობას. საბჭოს რაიონში ისინი იყვნენ 1.800 ბინაში. მათი წინადადებით დაწყებულია დემობილიზებულთა რამდენიმე ასეული ბინის რემონტი. ამ საპატიო საქმის ხელი მოჰკიდეს რაიონის საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმა. ბაუმანის რაიონის მუშებმა და მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს წესრიგზე მოიყვანონ 647 ბინა. დაახლოებით 100 ოთახი უკვე შეკეთებულია. დედაქალაქის აღმასკომები აწყობენ აგრეთვე საერთო საცხოვრებლებს ყოფილ ფრონტელთა დროებით დასაბინავებლად.

ყველა დემობილიზებული მოსკოველი უზრუნველყოფილ იქნება სამუშაოთი. ყოველ მეომარს შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს მისთვის საინტერესო საქმე. რაიონულ კომისიებში შემოდის საწარმოთა და დაწესებულებათა მრავალი განაცხადი თხოვნით — სამუშაოდ გაუგზავნონ მათ დემობილიზებულნი. მოსკოვს ჩამოვა იმ მეომართა პირველი ეშელონი, რომლებსაც იერიში მიჰქონდათ ბერლინზე.

მოსკოველი რკინიგზელები ამჟამად ამთავრებენ ვაგზლების მომზადებას მატარებელთა მისაღებად. ბელორუსიის ვაგზალში ეწყობა სპეციალური ბაქანი. პირველი ეშელონების მოსვლის დღეს აქ შესდგება სამამულო ომის მონაწილეების დიდი მიტინგი — შეხვედრა მოსკოვის მშრომელებთან. ვაგზალი სადღესასწაულოდ ირთვება. ილიჩის სახელობის დეპომ გამოჰყო საუკეთესო ორთქლმავლები, რომლებიც წაიყვანენ დემობილიზებულთა შემადგენლობებს სხვა სადგურებში. იაროსლავლისა და ლენინგრადის ვაგზლებში გამოყოფილია რამდენიმე დარბაზი დასასვენებლად, სადაც მოეწყობა კონცერტები, ლექციები, მოხსენებანი და სხვ. სამშობლოს დამცველთ შეეძლებათ ღამე გაათიონ აქ და კვება მიიღონ.

მოსკოვი სიხარულით ელოდება თავისი მამაცი შვილების დაბრუნებას. მათი ჩამოსვლა დიდი სასიხარულო დღესასწაული იქნება ყველა მოსკოველისათვის.

დემობილიზებულთა პირველი ეშელონი

მინსკში მოვიდა მოქმედი არმიიდან დემობილიზებულთა პირველი ეშელონი. ვაგზალში ფრონტელებს გულთბილად შეხვდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, წითელი არმიის წარმომადგენლები. მოსულნი უზრუნველყოფილი არიან კარგი კვებით და სამედიცინო დახმარებით. მათთვის გამოყოფილია საუკეთესო ოთახები დასასვენებლად, მომზადებულია ლიტერატურა და გაზეთები. მცირე ხნით შეჩერების დროს ისინი იყვნენ ბელორუსიის დედაქალაქის თეატრსა და მუზეუმში. საღამოს სამშობლოს დამცველნი სამგზავრო მატარებლებით წავიდნენ თავიანთ მშობლიურ ადგილებში. (საკდესი).

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის კადრები

საბჭოთა სახელმწიფო დემოკრატიის უმაღლესი ტიპია. უსასტიკეს, უმაგალითო ომში მან გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სისტემის დიდი უპირატესობის მეოხებით, სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვართა მეოხებით. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად აქტიური, უშუალო მონაწილეობა მიიღო მილიონობით უბრალო საბჭოთა ადამიანმა, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს არ ზოგავდნენ იმ სახელმწიფოს დაცვისათვის, რომელმაც საკუთარი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახადა ყოველი მათგანი. სოციალისტური წყობილების დროს სახელმწიფო აპარატის მუშაკები ხალხის ერთგული მსახურნი არიან. და ამიტომ ისინი ხალხის ფართო მასების ისეთი პატივისცემით სარგებლობენ, როგორიც მსოფლიოში არსად არ არის.

ჩვენი სახელმწიფო მექანიზმი შესდგება მილიონობით უბრალო, თავდაბალი მუშაკისაგან, ხალხის შვილებისაგან. მათი სახელი ლეგიონია. ყველა მშრომელი მხარს უჭერს, სწერდა ლენინი, „სახელმწიფოს იმ „მანქანას“, რომელსაც სათავეში უდგას არა ერთი და ორი ასეული ათასი კომუნისტური პროლეტარული ავანგარდი და რომელიც შესდგება მილიონობით ორგანიზებული პროლეტარისაგან“ (ლენინი, თხზულებანი, ტ. XXIV, გვ. 349, რუსული გამოცემა).

საბჭოთა სახელმწიფოს საკომანდო კადრებსა და რიგითი მუშაკების ამ მრავალმილიონიან მასებს შორის უმტკიცესი, ურღვევი კავშირი არსებობს. ბოლშევიკების დიადი პარტია დაუღალავად ზრდის და აწრთობს ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეებს, აწინაურებს მათ ხელმძღვანელ პოსტებზე. პარტიის მთელი მოღვაწეობა იმისაკენ არის მიმართული, რომ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის რიგებიდან წარმოიშვან არმიის, მეურნეობის, კულტურის უნარიანი, მომწიფებული, განათლებული ხელმძღვანელები. და ამჟამად, საბჭოთა ხელისუფლების ოცდამერვე წელს, ბოლშევიკების პარტიას სიამაყით შეუძლია აღნიშნოს თავისი მოღვაწეობის ნაყოფი. სახელმოხვეჭილი სარდლები, შესანიშნავი მეცნიერები და ტექნიკის შემოქმედნი, ჩვენი მძლავრი მეურნეობის ხელმძღვანელები — ყველანი ამ ახლო წარსულში რიგითი, უბრალო საბჭოთა ადამიანები იყვნენ.

ჩვენი ქვეყნის წარმატებანი, მისი გამარჯვებანი სამხედრო და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა ჩვენი სახელმწიფო მექანიზმის ყველა „პაწია ხრახნის“ მუშაობით. „რომელიმე „პაწია ხრახნი“ მოიშალა—და მორჩა“, — ამბობს ამხანაგი სტალინი. საბჭოების, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობა, მათ მიერ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულება—ყოველივე ეს დამოკიდებულია პატარა შეუმჩნეველ მუშაკთა პატიოსნებაზე, კეთილსინდისიერებაზე, შემსრულებლობასა და დისციპლინიანობაზე. ყოველმა მათგანმა უნდა იმუშაოს კარგად, ზუსტად, უნაკლოდ.

„ისინი თავდაბალი ადამიანები არიან, — სთქვა მათ შესახებ ამხანაგმა სტალინმა, — მათზე არავინ არაფერს არ სწერს, წოდება მათ არ აქვთ, ხარისხიც მცირე აქვთ, მაგრამ ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით, როგორც მწვერვალი ეყრდნობა ფუძეს“.

ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული იმ ადამიანთა სადღეგრძელოს, რომლებსაც „პაწია ხრახნებად“ სთვლიან, „რომლებსაც აქტივობის მდგომარეობაში ჰყავთ ჩვენი დიდი სახელმწიფო მექანიზმი მეცნიერების, მეურნეობისა და სამხედრო საქმის ყველა დარგში“, უდიდესი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით შეეგება საბჭოთა ხალხი. ჩვენმა გენიალურმა მასწავლებელმა და ბელადმა მაღალი შეფასება მისცა მრავალი მილიონი რიგითი საბჭოთა მუშაკის მუშაობას. ისინი ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლების მონაწილენი არიან, ისინი არიან ჩვენი გამარჯვების შემოქმედნი. საუცხოოდ, შეწყობილად მუშაობდა ჩვენი გიგანტური სახელმწიფო მექანიზმი, არ უმტყუნნია, არ მოშლილა მისი არც ერთი „პაწია ხრახნი“.

ეს საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის, საბჭოთა წყობილების უპირატესობის მკაფიო დადასტურებაა. საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, არამედ საუკეთესო ფორმაც ხალხის მთელი ძალების დარაზმვისა ომიანობის დროს მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ამჟამად ყოველი რიგითი საბჭოთა მუშაკი განიცდის სიხარულსა და სიამაყეს; მას შეგნებული აქვს თავისი მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ეს გრძნობები გამართლებულია, კანონზომიერია. ეს გრძნობები მით უფრო გასაგებია, რომ იმ მოვლენებს, რომლებშიც ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ, უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ყოველი ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ იგი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს „პაწია ხრახნს“ წარმოადგენს, აქტიურად მონაწილეობს ამ მოვლენებში, თავისი ყოველდღიური შრომით [illegible].

საბჭოთა და სამეურნეო, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა მოღვაწეები საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული პოლიტიკის, ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის გამტარებელნი არიან. ბოლშევიკების დიადი პარტია თავის ყოველდღიურ კავშირს მასებთან ახორციელებს უშუალოდ და მრავალრიცხოვანი თავისი „ამძრავი ღვედების“ — პროფკავშირების, კოოპერატივების, ახალგაზრდული და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით. და ამ ორგანიზაციათა ყველა მუშაკი იმ „პაწია ხრახნებს“ წარმოადგენს, რომელთა შესახებაც ასე გულთბილად, მკაფიოდ ილაპარაკა ამხანაგმა სტალინმა. ხალხთა დიდმა ბელადმა გაგვახსენა ისინი გამარჯვების ისტორიული პარადის მონაწილეთა კრემლში მიღების სახელოვან დღეს.

ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო საბჭოთა ადამიანებში წარმოშობს მხურვალე სურვილს იმუშაონ უფრო და უფრო კარგად, უფრო და უფრო ენერგიულად. ამ სიამაყეს, რომელსაც ბელადის ეს მადლობა წარმოშობს, ხომ საერთო არაფერი აქვს თავგასულობასთან, ყოყოჩობასთან, თვითდამშვიდებასთან. დაღუპულია, როგორც მუშაკი, ის ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ მან უკვე გააკეთა ყველაფერი, ყველაფერს მიაღწია, რომ იგი აღარ უნდა ცდილობდეს კიდევ უკეთ იმუშაოს ხალხის სასარგებლოდ. დაღუპულია, როგორც მუშაკი, დაწესებულების ის დიდი თუ მცირე ხელმძღვანელი, რომელიც თავს ხალხზე მაღლა აყენებს და ივიწყებს, რომ იგი არის ხალხის მსახური, რომელიც მოვალეა მთელი თავისი ძალები სამშობლოსადმი სამსახურს მოანდომოს.

ამჟამად, როცა ომი დამთავრდა, როცა დაიწყო დაძაბული და შემოქმედებითი მშვიდობიანი მუშაობის დღეები, ლაპარაკიც ზედმეტია ჩვენი დიდი სახელმწიფო მექანიზმის რომელიმე რგოლის მუშაობის შესუსტებაზე. პირიქით! სახელმწიფო მექანიზმის ყველა „პაწია ხრახნი“ ამჟამად განსაკუთრებით ზუსტად უნდა მუშაობდეს. ყოველმა მუშაკმა კიდევ უფრო მეტი ინიციატივა, შეუპოვრობა, ენერგია უნდა გამოიჩინოს ყოველივე იმის უსწრაფესი აღდგენისათვის ბრძოლაში, რაც მტერმა დაანგრია, ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა მ. ი. კალინინის სტატია „უდიდესი ნაბიჯი მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლაში“—მოქმედი არმიის უფროს ასაკთა დემობილიზაციის შესახებ. იგი ყველა ჩვენს მუშაკს მოაგონებს მათს ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანას. იგი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ საბჭოებს, კოლმეურნეობების მუშაკებს, რკინიგზელებს, მთელ რიგ დაწესებულებებს.

„ამ საქმის სრული წარმატება,—სწერს ამხ. კალინინი,—დიდად იქნება დამოკიდებული როგორც თვით დემობილიზებულთა, ისე იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ორგანიზებულობასა და დისციპლინიანობაზე, რომლებიც დემობილიზებულთა მოწყობისათვის იმუშავებენ“.

დემობილიზებულთათვის ზრუნვა ერთ-ერთი მრავალ ამოცანათაგანია, და მშვიდობიანი დროის მთელ ჩვენს დიდ სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობას მიიღებს მილიონობით საბჭოთა მუშაკი. ყოველი მათგანი უნდა განიმსჭვალოს თავისი სინიდისის წინაშე, ხალხის წინაშე, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობით. ერთი შეხედვით ყველაზე „შეუმჩნეველ“ სამუშაოს უდიდესი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ეს თანაბრად შეეხება მრეწველობის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფას, სახელმწიფოს წინაშე სოფლის მეურნეობის ვალდებულებათა შესრულებას, მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვას.

საბჭოთა სახელმწიფო მექანიზმის ყველა „პაწია ხრახნი“ განსაკუთრებით კარგად უნდა მუშაობდეს ამჟამად, როცა ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი საქმიანობის მოცულობა ასე მატულობს. ეჭვი არ არის, რომ ომის წლებში უდიდესი ორგანიზატორული საქმიანობის გამოცდილებით აღჭურვილი ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი ახალ-ახალ წარმატებას მიაღწევს ამხანაგ სტალინის მიერ ხალხის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში.

„პრავდის“ 7 ივლისის მოწინავე

კომკავშირული დროშა

6 ივლისს საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო ორგანიზაციას საზეიმო ვითარებაში გადაეცა წითელი დროშა. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმს, რომელიც მიეძღვნა დროშის გადაცემას, ხსნის საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ფარულავა.

შემოდის წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— დიდი სტალინი!

მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციას მართავს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის, ჩვენი გამარჯვების შემოქმედის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აგრეთვე ამხანაგებს ჩარკვიანს და მიხაილოვს.

სიტყვა ეძლევა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. მოსკოვსკის.

— საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით, — ამბობს იგი,—ნება მომეცით გადმოგცეთ წითელი დროშა. დარწმუნებული ვარ ამ დროშას — ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების დიად სიმბოლოს — თბილისის კომკავშირი თვალისჩინივით გაუფრთხილდება და კვლავაც წარმატებით იშრომებს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებათა განსახორციელებლად.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ფარულავა მოწიწებით ემთხვევა დროშას და შემდეგ ამბობს სიტყვას. იგი პირობას აძლევს პარტიასა და მთავრობას, რომ კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია ამ დროშას წმიდად შეინახავს, ძალ-ღონეს არ დაიშურებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

შემდეგ სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციციშვილი, რომელიც მხურვალედ მიესალმება დედაქალაქის კომკავშირს და ულოცავს მას დროშის მიღებას. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ქორქოლიანი ფიცს სდებს, რომ ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდები კვლავაც თავდადებით იმუშავებენ სამშობლოსათვის.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა შეკრებილთ ულოცავს დროშის მიღებას. — წითელი დროშა სიწმიდის, პატიოსნების, შრომის, ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოა,—ამბობს ამხ. ხორავა,—გისურვებთ ბოლომდე წმიდად გეტარებინოთ იგი. კვლავაც წარმატებით იბრძოლეთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ქართველ მეცნიერთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. კეცხოველი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით ულოცავს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას წითელი დროშის მიღებას და მოუწოდებს მას კიდევ უკეთ იმუშაოს, გაამართლოს პარტიის ერთგული და საიმედო თანაშემწის საპატიო სახელი.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს დიდი სტალინისადმი მისალმების ტექსტი. პლენუმმა მისალმება გაუგზავნა აგრეთვე ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს ამხ. ლ. პ. ბერიას.

პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

მოგებათა ორი ტირაჟი

10 ივლისს მოსკოვში კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგება სახელმწიფო სესხების მოგებათა ორი ტირაჟი—მეორე ხუთწლედის სესხისა (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხისა.

მეორე ხუთწლედის სესხის ტირაჟში გათამაშდება 293.420 ათასი მანეთის 1.800 ათასი მოგება.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ტირაჟში გათამაშდება 72.588.800 მანეთის 442.550 მოგება. (საკდესი).

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების აღსანიშნავად

საქართველოს მრეწველობის მუშაკები ფართოდ გამოეხმაურნენ მეტალურგთა მოწოდებას

კალინინელთა სიტყვა მტკიცეა

კალინინის სახელობის ქარხანაში (თბილისი) დიდი ინტერესი და შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია მაგნიტოგორსკელ და კუზნეცკელ მეტალურგთა მოწოდებამ ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

მუშაობის დამთავრებისას ქარხნის ეზოში შესდგა მუშათა საერთო კრება, რომელიც გახსნა საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. რაზმაძემ. კრების მონაწილეებს მეტალურგთა მიმართვის ტექსტი გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. მეშველიანმა.

— სამშობლოსათვის ომით მიყენებული ჭრილობების სწრაფად მოშუშების ამოცანა,— ამბობს სიტყვით გამოსული ზეინკალი ვ. გამრეკელი,—თითეულ ჩვენთაგანს აკისრებს კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობის ტემპები და მისცეს გამარჯვებულ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

სტახანოველმა მრანდავმა ნ. პავლოვმა იკისრა წლის ბოლომდე სისტემატურად 350 პროცენტით შეასრულოს ყოველთვიური დავალებანი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა აიღო ვალდებულება: წლიური საწარმოო გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრამდე; გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე გამოუშვას 100.000 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი; მესამე კვარტალის ბოლომდე მოაწყოს საწოლების დამამზადებელი საამქრო და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ცალი საწოლი; უმოკლეს დროში აითვისოს ახალი ასორტიმენტის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება; წლის დასასრულისთვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200 ცალი კულტივატორი; პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიაღწიოს 50.000 მანეთის ეკონომიას.

კალინინელების სიტყვა და საქმე განუყრელია. ამ ახალ ვალდებულებებს ისინი ისევე პირნათლად შეასრულებენ, როგორც ასრულებდნენ ომის დღეებში მიცემულ რთულ და პასუხსაგებ დავალებებს, და ამით შეიტანენ თავიანთ წვლილს ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო გაძლიერების საქმეში.

სპილენძი გეგმის გადამეტებით

თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა შავი მეტალურგიის მოწინავე რაზმის—მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგების მოწოდებას ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. სპილენძის დნობისა და ნაგლინის ოსტატებმა გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ ჩაებან შეჯიბრებაში და პირობა დასდეს:

მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავის — 7 ნოემბრისთვის; წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცენ 50 ტონა ფერადი ლითონის ნაგლინი; გასწიონ საწვავის ეკონომია სულ ცოტა 10 პროცენტით; გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით; სანიმუშოდ მოამზადონ ქარხანა ზამთრის პირობებში სამუშაოდ.

მეტალურგთა მოწოდების განსახილველად ქარხანაში მოწვეულ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს მგლინავმა სტახანოველმა ლ. დოლიძემ, მდნობელმა მ. დავითაშვილმა, ზეინკალმა თ. პატარიძემ და სხვ.

ხელმოწერა შეთანხმებისა სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითს მთავრობას შორის სსრ კავშირში მცხოვრებ პოლონელი და ებრაელი ეროვნების პირთა საბჭოთა მოქალაქეობიდან გამოსვლის უფლებისა და პოლონეთში მათი ევაკუაციის შესახებ და პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, რუსინი და ლიტველი ეროვნების პირთა პოლონეთის მოქალაქეობიდან გამოსვლის უფლებისა და სსრ კავშირში მათი ევაკუაციის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის ნაციონალური ერთიანობის დროებით მთავრობას შორის სწარმოებდა მოლაპარაკება, რათა დადებულიყო შეთანხმება სსრ კავშირში მცხოვრებ პოლონელი და ებრაელი ეროვნების პირთა საბჭოთა მოქალაქეობიდან გამოსვლის უფლებისა და პოლონეთში მათი ევაკუაციის შესახებ და პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, რუსინი და ლიტველი ეროვნების პირთა პოლონეთის მოქალაქეობიდან გამოსვლის უფლებისა და სსრ კავშირში მათი ევაკუაციის შესახებ. ამ მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში სწარმოებდა, 1945 წლის 6 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პოლონელი და ებრაელი ეროვნების იმ პირთ, რომელნიც პოლონეთის მოქალაქეობაში იმყოფებოდნენ 1939 წლის 17 სექტემბრისათვის, და მათი ოჯახის წევრებს უფლება ენიჭებათ გამოვიდნენ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან და ნება ეძლევათ გადასახლდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე, ხოლო რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, რუსინი და ლიტველი ეროვნების პირებს და მათი ოჯახის წევრებს უფლება ენიჭებათ გამოვიდნენ პოლონეთის მოქალაქეობიდან და გადმოსახლდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

ანალოგიური უფლება ენიჭებათ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 22 ივნისისა და 14 ივლისის ბრძანებულებათა საფუძველზე ამ ბრძანებულებებში ჩამოთვლილ პოლონელი ეროვნების პირთ.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მოქალაქეობიდან გამოსვლა და ევაკუაცია ნებაყოფლობით ხდება.

შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ იმ პირთ, რომელნიც გადასახლდებიან, უფლება აქვთ თან წაიღონ თავიანთი კუთვნილი ქონება, რაც არ უნდა აღემატებოდეს 2 ტონას სოფლად მოსახლე ოჯახისათვის და ერთ ტონას ქალაქად მოსახლე ოჯახისათვის, ხოლო სპეციალური პროფესიის პირებს, გარდა ამისა, უფლება ენიჭებათ თან წაიღონ თავიანთი პროფესიული საქმიანობის საგნები. მიმავალთ უფლება აქვთ თან წაიღონ 1 ათასამდე ზლოტი (და შესაბამისად 1 ათასამდე მანეთი).

შეთანხმების შესრულებისათვის ხელშესაწყობად არსდება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შერეული კომისია, რომლის ადგილსამყოფელიც მოსკოვი იქნება, და რომელსაც შეთანხმების საფუძველზე შეუძლია დანიშნოს თავისი რწმუნებულნი მიმავალთა თავმოყრის ადგილებში.

იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ გამოვიდნენ საბჭოთა მოქალაქეობიდან და რომელნიც შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებიან, შეუძლიათ 1945 წლის 1 ნოემბრამდე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით მიმართონ შუამდგომლობით სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიას, რომელიც იხილავს სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღების, მოქალაქეობიდან გასვლის, მოქალაქეობის აყრის საკითხებს. ის პირნი, რომელნიც სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, ასეთ შუამდგომლობას შეიტანენ სსრ კავშირის საელჩოებისა და საკონსულოების მეშვეობით. იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ გამოვიდნენ პოლონეთის მოქალაქეობიდან და შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის პოლონეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, შეუძლიათ იმავე ვადაში ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით კანონით დადგენილი წესით აღძრან შუამდგომლობა პოლონეთის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ.

შეთანხმება არ სცვლის იმ დადგენილებებს, რაც გათვალისწინებულია 1944 წლის 9 და 22 სექტემბრის შეთანხმებებში, რომლებიც შესაბამისად დაიდო უკრაინის, ბელორუსიისა და ლიტვის სს რესპუბლიკების მთავრობებსა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის უკრაინელი, ბელორუსი, რუსი, რუსინი, ლიტველი, პოლონელი და ებრაელი მოსახლეობის ურთიერთევაკუაციის შესახებ.

შეთანხმებას ხელს აწერენ სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ვიშინსკი და პოლონეთის რესპუბლიკის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის რწმუნებით — პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ-ნი მოძელევსკი.

კანადამ სცნო პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის მთავრობა

ოტავა, 7 ივლისი. (საკდესი). კანადის მთავრობამ გადასწყვიტა სცნოს პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის მთავრობა. კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა გამოაცხადა ამის შესახებ და აღნიშნა, რომ პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის მთავრობა შექმნილია ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად და მის შექმნას წინ უძღოდა თათბირები პოლონელ ლიდერთა შორის, აგრეთვე მათსა და მოკავშირეთა კომისიას შორის მოსკოვში. ამ თათბირთა შედეგად, — სთქვა კინგმა, — შექმნილი იყო პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის რეორგანიზებული დროებითი მთავრობა და იგი სცნო ყირიმის კონფერენციის მონაწილე სამმა დიდმა სახელმწიფომ, აგრეთვე საფრანგეთმა. კინგმა სთქვა, რომ ამჟამად კანადის მთავრობამ, რომელსაც სურს მეგობრული ურთიერთობა პოლონელ ხალხთან, გადასწყვიტა აგრეთვე სცნოს იგი და იმედი აქვს სათანადო დროს პოლონეთის მთავრობა და კანადა ურთიერთწარგზავნიან დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

იტალიამ სცნო პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის მთავრობა

რომი, 7 ივლისი. (საკდესი). როგორც რომის რადიო გადმოგვცემს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობამ 6 ივლისის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება — სცნოს პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის მთავრობა.

ფინეთის სახელმწიფო სასამართლოს ახალი შემადგენლობის არჩევა

ჰელსინკი, 7 ივლისი. (საკდესი). ფინეთის რადიოს ცნობით, გუშინ სეიმის ამომრჩევლებმა აირჩიეს სახელმწიფო სასამართლოს ახალი წევრები და წევრობის კანდიდატები. სასამართლოს ახალი შემადგენლობა არჩეულია სამი წლით. დღეს დილის ათ საათზე შესდგა სეიმის ხანმოკლე პლენარული სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა ცნობა სახელმწიფო სასამართლოს წევრთა არჩევნების შედეგების შესახებ, რის შემდეგაც სეიმი დათხოვნილ იქნა საზაფხულო არდადეგებისათვის.

საერთაშორისო მიმოხილვა

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი კვლავ უთმობს ყურადღებას საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის იმიერკარპატის უკრაინის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას და აღნიშნავს მის უდიდეს მნიშვნელობას ორი მეზობელი სლავური ქვეყნის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ აქტის დადებისას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება იმიერკარპატის უკრაინის შესახებ წარმოადგენს „სლავ ხალხებს შორის გულწრფელი მეგობრობისა და საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ძმური თანამშრომლობის მკაფიო დემონსტრაციას". სწორედ ამ აზრს აღნიშნავს თავის კომენტარებში ჩეხოსლოვაკური პრესა, რომელიც მიუთითებს, რომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან იმიერკარპატის უკრაინის შეერთების საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ორ მეზობელ სლავურ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას. „ხელშეკრულებას მიესალმებიან საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხები, — სწერს ჩეხოსლოვაკური გაზეთი „სვობოდნე ჩეხოსლოვენსკო", ვინაიდან იგი შემდგომი ნაბიჯია სლავი ხალხების ძმური თანამეგობრობის გზაზე და ემსახურება მომავალში ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ უშიშროების განმტკიცებას. ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განმტკიცებას, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნული სახელმწიფო იქნება".

დამახასიათებელია ის ერთსულოვნება, რომლითაც ხელშეკრულებას სლავურ ქვეყნებში მიესალმებიან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამ ქვეყნების ზოგიერთი გაზეთი, სლავებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ სწორედ მათ დაგვანახვეს იმ საკითხის მშვიდობიანი და სამართლიანი გზით მოწესრიგების ნიმუში, რომელიც სხვა გარემოებებში შეიძლებოდა ურთიერთგაუგებრობის საგანი გამხდარიყო. გაერთიანებული ერების ოჯახში შემავალ ორ ქვეყანას შორის სამართლიანი და მეგობრული შეთანხმების ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ არ არსებობს ისეთი პრობლემები, რომელთა სამართლიანი გზით გადაწყვეტაც არ შეიძლებოდეს, თუ იქნება კეთილი სურვილი და კარგი ურთიერთგაგება. აი რატომ არის, რომ ბეჭდვითი სიტყვის ბევრ ორგანოს იმიერკარპატის უკრაინის შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება მიაჩნია დიდ წვლილად საერთაშორისო თანხმობისა და საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში. იუგოსლავიის გაზეთი „ბორბა" სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „სლავური მაგალითი", აღნიშნავს, რომ იმ ტერიტორიის ბედი, რომელზეც ცხოვრობს უკრაინული ეროვნების მოსახლეობა, „ისე გადაწყდა, როგორც ამას მოითხოვს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაც სანქციონირებულია ანტიჰიტლერული კოალიციის სამი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა საჯარო ვალდებულებებით".

ერთა თვითგამორკვევის პრინციპის სწორ გამოყენებას, ერთა თვითგამორკვევისა, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, აღნიშნავენ აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოები. როგორც ცნობილია, ეს პრინციპი მუდამ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ხელმძღვანელ საწყისს. საბჭოთა კავშირში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებანი აშკარაა მთელი მსოფლიოსათვის. უკრაინის სს რესპუბლიკასთან იმიერკარპატის უკრაინის შეერთება, რამაც დააგვირგვინა უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ პოლიტიკის სისწორეს.

სრულიად აშკარაა, რომ მხოლოდ პროგრესისა და ერთა შორის მშვიდობიანობის მტრებს შეუძლიათ უარჰყონ იმიერკარპატის უკრაინის შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების უდიდესი დადებითი მნიშვნელობა. ამ მტერთა შორის ამჟამად გამოირჩევა წრიპინა ხმა ვატიკანის კარის პუბლიცისტ გოზელასი, რომელიც გაზეთ „პოპოლოში", კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებას, ცილისმწამებლური განცხადებებით ილაშქრებს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთ „პოპოლოს" გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა იტალიურმა გაზეთმა „უნიტამ", რომელმაც აღნიშნა, რომ „პოპოლოს" მსგავსი ორგანოები ბეჭდვითი სიტყვისა არც ერთ შემთხვევაში არ გაუშვებენ, რომ ცილი არ დასწამონ იმ ქვეყანას, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების ერთ-ერთ შემოქმედს წარმოადგენს.

* * *

ბელგიის მეფე ლეოპოლდის განზრახვამ — დაბრუნდეს ბელგიაში, რათა კვლავ დაიკავოს ბელგიის ტახტი, პრესის ფართო გამოხმაურება გამოიწვია. ბელგიელი ხალხის დიდი უმრავლესობა მეფის დაბრუნების წინააღმდეგ წაიდა და მოითხოვს მის ტახტიდან გადადგომას. სოციალისტური და კომუნისტური პარტიები უაღრესი სიმკაცრით მოითხოვენ, რომ ლეოპოლდი ბელგიაში არ დაბრუნდეს. ასეთივე პოზიცია დაიკავა ქრისტიანი დემოკრატების პარტიამ. ლიბერალური პარტიის ნაციონალური საბჭოს ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მოითხოვს მეფის გადადგომას. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაცხადა, რომ თუ მეფე ბელგიაში დაბრუნდა, საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდება.

როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი" იუწყება, ბელგიაში იმართება მიტინგები, რომელნიც ლეოპოლდის გადადგომას მოითხოვენ. მთელ რიგ ადგილებში სიფხიზლის კომიტეტები იქმნება დემოკრატიული ბლოკის ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან. მხოლოდ კათოლიკური პარტიის ცალკეული წრეები უჭერენ მხარს მეფის დაბრუნებას, მაგრამ ეს პარტიაც ფენებად დაიყო, რასაც შეუძლია განხეთქილება მოჰყვეს.

ბელგიაში ლეოპოლდ მეფის დაბრუნებისადმი ბელგიის საზოგადოებრიობის ეს უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია 1934 წელს გამეფებული ლეოპოლდის წარსული საქმიანობით. მეფემ, როგორც მრავალი სპეციალისტი აღნიშნავს, არა ერთხელ დაარღვია ბელგიის კონსტიტუცია. იგი ერეოდა საგარეოპოლიტიკურ და შინაპოლიტიკურ საქმეებში, რომელნიც მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას შეადგენდნენ. გარდა ამისა, ბელგიის საზოგადოებრიობას ლეოპოლდი მიაჩნია პასუხისმგებლად „ნეიტრალიტეტის" იმ პოლიტიკისათვის, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ბელგიის უშიშროების საქმეს და ხელი შეუწყო ბელგიის დამარცხებას. ყოველივე ეს აიძულებს ბელგიის პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაჟინებით მოითხოვონ მეფის დაუყოვნებლივი გადადგომა. გაზეთი „სიტე ნუველი" აღნიშნავს, რომ მეფის გადადგომის საკითხის გადაწყვეტის ვადის გადადება, რის შესახებაც კარის ზოგიერთი წრე ლაპარაკობს, „კატასტროფული იქნებოდა ბელგიისათვის". ამავე აზრს გამოსთქვამენ ბელგიის სხვა გაზეთებიც.

* * *

ამ უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესამ გამოაქვეყნა მრავალი ცნობა, რომლებიც მოწმობენ, რომ ჰიტლერელებმა თავიანთი კრახის წინ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის გადასარჩენად. პრესის წარმომადგენლების წინაშე გამოვიდა ამერიკის სენატის სამხედრო მობილიზაციის საკითხების ქვეკომისიის თავმჯდომარე კილგორი, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 1944 წლის 10 აგვისტოს ჰიტლერელებმა მოიწვიეს გერმანელ მრეწველთა საიდუმლო თათბირი სტრასბურგის სასტუმრო „როტეს ჰაუზში". სადაც დასახულ იქნა დაწვრილებითი ინსტრუქციები გერმანიის დიდი მაგნატებისა და ფინანსისტების მომავალი არალეგალური საქმიანობის შესახებ გერმანიის სამხედრო პოტენციალის აღდგენის მიზნით. კილგორის სიტყვით, ამ თათბირს დაესწრნენ კრუპის, რეხლინგის, მესერშმიდტის, კომპანია „ბიუსინის", „რაინმეტალის" წარმომადგენლები და სხვები. ამრიგად, თათბირში მონაწილეობა მიიღო გერმანიის მონოპოლისტების მთელმა ზედაფენამ, რომელიც მუდამ უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰიტლერულ რეჟიმთან და წარმოადგენდა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ ფაშისტური აგრესიის ხელმძღვანელ ძალას. ანალოგიური ცნობები გამოაქვეყნეს უცხო სახელმწიფოებში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური საქმიანობის ხელმძღვანელობის სამმართველოს მეთაურმა — კროულიმ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ კლეიტონმა, ამერიკის განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტის ყოფილმა საფინანსო მრჩეველმა ბარუხმა. ყველა ისინი აღნიშნავდნენ, რომ გერმანიის ეკონომიური განიარაღება ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულა და გერმანელ მრეწველებს ჯერ კიდევ დიდი ეკონომიური ბაზა მოეპოვებათ გერმანიაში. ამ ფაქტებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რომ ამ უკანასკნელ ხანს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი რეაქციული საქმიანი წრეების პოზიციით გამხნევებულ გერმანელ მრეწველთა აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ტაფტი გამოვიდა ნიუ-იორკის „ეკონომიურ კლუბში" და მოიყვანა ჟურნალ „ამერიკენ იქსპორტერის" გამომცემლის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანელმა მრეწველებმა უკვე დაიწყეს თავიანთი საქმიანობა გერმანიის ფარგლებს გარეთ, უმთავრესად, ესპანეთში.

გაზეთ „დეილი მირორის" კორესპონდენტმა ფერისონმა განაცხადა, რომ ვისკონზისა და ფოლადსამსხმელო მრეწველობის ამერიკელი წარმომადგენლები აგენტებს გზავნიან გერმანელებთან შესახვედრად ესპანეთსა და არგენტინაში. დასასრულ, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტმა დანიელმა არც ისე დიდი ხანია, რაც მიუთითა გარკვეულ გეგმებზე, რომლებსაც ამზადებენ გერმანიის სამრეწველო წრეებში. ეს არის განსაკუთრებული „ლიბერალურ-ქრისტიანული სახელმწიფოს" შექმნის გეგმები, სახელმწიფოსი, რომელშიც გერმანელ მაგნატებს შეეძლებათ თავისუფლად გააბან თავიანთი ინტრიგების ქსელი მშვიდობიანობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს იმ საფრთხეს, რასაც გაერთიანებული ერებისათვის წარმოადგენენ მიჩუმებული გერმანელი იმპერიალისტების საქმეები და გეგმები. ისინი, ეს ფაქტები, მოაგონებენ ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის ყველა მომხრეს, რომ საჭიროა ულმობელი ბრძოლა გერმანელი მილიტარისტების წინააღმდეგ მათი თანაშემწეებისა და მფარველების წინააღმდეგ, სადაც უნდა იმალებოდნენ ისინი და რა ნიღბითაც უნდა გამოდიოდნენ.

დ. მელნიკოვი

ჩერჩილი საფრანგეთში

ლონდონი, 7 ივლისი. (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ 7 ივლისს დღის მეორე ნახევარში გამოაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ინგლისიდან სამხრეთ საფრანგეთში გაემგზავრა, რათა რამდენიმე დღით დაისვენოს „დიდი სამეულის" კონფერენციის წინ.

ლონდონი, 7 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ქ-ნ ჩერჩილის თანხლებით 7 ივლისს თვითმფრინავით ბორდოს ჩავიდა ანდაისში (სამხრეთი საფრანგეთი) გზად მიმავალი.

ბანდიტები „ცისფერი დივიზიიდან" შვეიცარიაში იმალებიან

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" სწერს: „ლინკოლნის სახელობის ბრიგადის მონაწილეებმა, რომლებიც ფრანკოს წინააღმდეგ იბრძოდნენ ესპანეთში, კონფიდენციალურად გაიგეს სრულიად სარწმუნო წყაროებიდან, რომ ესპანეთის „ცისფერი დივიზია" ევროპის ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა ქალაქ უდინეში (იტალია), როგორც გერმანიის არმიის ნაწილი. გერმანიის განადგურების შემდეგ მან თავი შეაფარა შვეიცარიას.

ბერგენში აღმოჩენილია რუსული ისტორიული ფასეულობანი, რომლებიც კვისლინგელებმა მოიპარეს

ოსლო, 7 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დაგბლადეტი" იუწყება, რომ ბერგენში (ნავსადგური ნორვეგიაში) კერძო პირებს უპოვნეს მთელი რიგი რუსული ისტორიული ფასეულობანი, რომლებიც ორანიენბაუმში მოიპარეს კვისლინგელებმა, ჰიტლერულ არმიაში რომ მსახურებდნენ. კვისლინგელები გერმანელებთან ერთად მონაწილეობდნენ ორანიენბაუმის სასახლის გაძარცვაში.

მზის დაბნელება 9 ივლისს

9 ივლისს მოსკოვის დროით 15 საათსა და 14 წუთზე მთვარის ჩრდილი, რომელიც მზის დაბნელებას იწვევს, შეეხება დედამიწას ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და იმოძრავებს რა სწრაფად ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულებით, გადაჰკვეთს კანადას, გრენლანდიის, გაივლის ისლანდიის ჩრდილოეთით, გადაჰკვეთს სკანდინავიის ნახევარკუნძულს და გაივლის სსრ კავშირის ტერიტორიაზე ლენინგრადის ჩრდილოეთით, ლადოგის ტბის რაიონში. ამის შემდეგ მთვარის ჩრდილი გაირბენს დიდ სივრცეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ქალაქებზე: სორტავალა, რიბინსკი, იაროსლავლი, ივანოვო, ემბა, ყზილ-ორდა და მოშორდება დედამიწას ფერგანის ოლქში, ანდიჟანის მთებში.

მთვარის ჩრდილის ეს გზა თითქმის 12.000 კილომეტრს აღწევს და აქედან მეოთხედზე მეტი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეა. მთელი გზის გარბენას ჩრდილი ორსაათნახევარს მოუნდება, ე. ი. მისი მოძრაობის სიჩქარე მიაღწევს 80 კილომეტრს წუთში, ანუ 1.300 მეტრს წამში, რაც თანამედროვე საარტილერიო ყუმბარის მოძრაობის სიჩქარეს უახლოვდება.

მთვარის ჩრდილის სიგანე დედამიწის ზედაპირზე 45-90 კილომეტრი იქნება და, მაშასადამე, ამავე სიგანისა იქნება ის ზოლიც დედამიწის ტერიტორიაზე, რომელშიც სრული დაბნელება გამოჩნდება. რაც უფრო დაშორებით მდებარეობს რომელიმე ქალაქი ამ ზოლის სამხრეთით ან ჩრდილოეთით, მით ნაკლებია იქ ნაწილობრივი დაბნელების ფაზა. ასე, მაგალითად, ჩვენი სახელმწიფოს დედაქალაქ მოსკოვში, რომელიც შედარებით ახლო მდებარეობს სრული დაბნელების ზოლთან, მზე დაბნელდება 96 პროცენტით, თბილისში კი დაბნელება მხოლოდ 77 პროცენტს მიაღწევს, ე. ი. დაბნელდება მზის დისკოს მხოლოდ სამი მეოთხედი ნაწილი. თბილისში დაბნელება დაიწყება საღამოს 5 საათსა და 48 წუთზე და დამთავრდება 7 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით.

მზის სრული დაბნელება საშუალოდ ორ წელიწადში ერთხელ ხდება საერთოდ სადმე დედამიწის ზურგზე, მაგრამ მოცემულ ადგილას კი გაცილებით უფრო იშვიათად—300-400 წელიწადში ერთხელ. ამავე დროს მზის სრულ დაბნელებაზე მეცნიერულ დაკვირვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მზის ფიზიკის [illegible] მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები მზის ატმოსფეროში [illegible] მომენტშია მისაწვდომი დაკვირვებისათვის. ამიტომ არის, რომ მზის დაბნელებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი. ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები იმ რაიონებში, სადაც დაბნელება სრული იქნება.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს მესამე დაბნელებაა, რომლის სრული ფაზა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოჩანს. საბჭოთა ასტრონომიულმა დაწესებულებებმა ბევრი ახალი ცნობა და მასალა დააგროვეს მზის ფიზიკის შესახებ პირველი ორი დაბნელების დროს. მომავალი დაბნელებისთვისაც დიდი სამზადისია შესრულებული და ოცამდე ასტრონომიული და სხვა დაწესებულების ექსპედიცია უკვე განლაგებულია სრული დაბნელების ზოლში. ეს ექსპედიციები, სათანადო იარაღებით აღჭურვილნი, დაბნელების მოლოდინში არიან, რათა ახალ დაკვირვებათა შესრულებით ახალი ამოცანები გადასჭრან, ძველი შედეგები შეამოწმონ და კიდევ ახალი ფურცელი შემატონ მეცნიერებას მზის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიამ გაგზავნა ექსპედიცია ლადოგის ტბის ნაპირზე მდებარე ქალაქ სორტავალაში (სერდობოლი), აქ ამჯერად სრული დაბნელება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას: იგი 60 წამს (სეკუნდს) გასტანს. ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციის ექვსმა მონაწილემ უნდა მოასწროს მზის გვირგვინის 7 ფოტოგრაფიის მიღება სპეციალურ პოლარიმეტრულ დანადგარზე; და ათამდე რადიომეტრული გაზომვა —მეორე დანადგარზე. ორივე სამუშაოს მიზანს შეადგენს მზის ატმოსფეროს მაღალი ფენების ფიზიკური აგებულების შესწავლა. უკანასკნელს არა მარტო წმინდა მეცნიერულ-თეორიული ინტერესი აქვს, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რამდენადაც ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიცნოთ ის მექანიზმი, რომელიც განაგებს მზის პროცესების გავლენას დედამიწის ზოგიერთ მოვლენაზე (რადიოგადაცემა, დედამიწის მაგნეტიზმი და სხვა).

ე. ხარაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი

ლექცია

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება მორიგი სემინარი.

შესავალ ლექციას თემაზე—**„ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში"** — წაიკითხავენ ქართულ ენაზე დოცენტი **ლ. გორგილაძე**, რუსულ ენაზე—დოცენტი **ლ. გაგოშიძე**.

სემინარი

10 ივლისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში სახელოსნო სასწავლებლების მუშაკთათვის შესდგება მორიგი სემინარი ქართულ ენაზე. თემა: **„ამხანაგ სტალინის წიგნი—„ლენინიზმის საფუძვლების შესახებ"**.

სემინარს ჩაატარებს ამხ. მირიანაშვილი.

კონსულტაცია

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია.

კონსულტაციას ჩაატარებენ დოცენტები მელაძე და ფანცხავა.

10 ივლისს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში (25 თებერვლის ქ. № 2) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის XIII პლენუმი.**

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმების შესრულების შედეგები (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე).
2. ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ზევორქიანი).

ფეხბურთი

მოსკოვი — თბილისი

7 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში („ა" ჯგუფი). ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი ტაიმის შუა წუთებიდან ინიციატივა გადავიდა მოსკოველთა ხელში. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოსკოველმა პონომარიოვმა მოულოდნელი დარტყმით გაიტანა პირველი გოლი თბილისელთა კარებში.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა შეწყობილი იერიშებით. მე-15 წუთზე მოსკოველი ცენტრფორვარდი პონომარიოვი სარგებლობს მეკარე სანაიას შეცდომით და ღია კარში ურტყამს ბურთს. მცველი პეხლევანიდი ოსტატურად აბრუნებს მოედნისაკენ ამ საშიშ ბურთს. ხუთი წუთის შემდეგ მეკარე სანაია სხარტი ნახტომით იგერიებს „მკვდარ" ბურთს. თამაშის ტემპი ნელნელა ეცემა და ბურთი უმთავრესად ტრიალებს მოედნის ცენტრში. შეხვედრის ბოლო 15 წუთი მიმდინარეობს თბილისელთა აშკარა უპირატესობით. 32-ე წუთზე ხარბედია ძლიერი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — (1:1)

„ცდკა" — „ტრაქტორი"

ამავე დღეს სტალინგრადში წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა („ცდკა") მოუგო ადგილობრივ „ტრაქტორს" ანგარიშით — 6:0.

ა. გოგოლაშვილი

კინოებში

8 ივლისს: რუსთაველის სახელობის—„ივანე ნიკულინი—რუსი მეზღვაური". **ოქტომბერი** —„მეღორე ქალი და მწყემსი". **დამკვრელი** — (საზაფხულო და ზამთრის) — „უკვდავი კაშჩეი". **კომკავშირელი**—(საზაფხულო) — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება", (ზამთრის)—„ოცნება". **ლუქსემბურგის სახელობის** — „ლედი ჰამილტონი", **სპარტაკი**—„ოქროს ბილიკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა) ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1945 წლის 18 ივლისს, დღის 2 საათზე, ბოტანიკის აუდიტორიაში (მესამე კორპუსი, მარის ქ. № 11) **მ. ს. მელია** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ყაზბეგის რაიონის პარაზიტული მიკოფლორა და მისი ვერტიკალური ზონალობა"**.

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ნ. კეცხოველი, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი ე. ერისთავი.

ბ) ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 18 ივლისს, დღის 2 საათზე, ფიზიკა-ქიმიის კორპუსის (მარის ქ. № 3) აუდიტორია № 26-ში **ა. ვ. კიკვიძე** ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დიმეთილანილინის კატალიზური სინთეზი"**.

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი დოქტორი პ. ქომეთიანი, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი ა. კახნიაშვილი, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი გ. ვ. ციციშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **დავით ნიკოლოზის-ძე სარაულმა**, მცხოვრებმა ვარციხის ქ. № 4, აღძრა საქმე ენგელსის ქ. № 29 მცხოვრებ მოქალაქე **დოლი ალექსის-ასულ მარღანიასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

მეუღლე კატო, შვილები გურამ, ჯონდო იუწყებიან ექიმ **ლადო მოსეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 10/VII, 6½ ს. საგურამოს, 5.

მეუღლე ფუფუ, შვილები მაყვალა, დავით, რძალი ანა შოთაძეები იუწყებიან **პეტრე ნიკოლოზის-ძე შოთაძის** გარდაცვალებას.

შვილი იონა, რძალი ელენე ფირცხალავები იუწყებიან **ელენეს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/VII, 7 ს. გამოსვენება 10/VII, 6 ს. მახარაძის, 7.

ანასტასია, ვასილ, მიშა, გალინა, რაისა ჰელიძეები შვილებით იუწყებიან **მოსე გრიგოლის-ძე ჰელიძის** გარდაცვალებას.

ტასო, მაკო, ქეთო, მარო, გოგონა, მარგო, ვიქტორ, ისაკი მაღნარაძეები იუწყებიან **პეხუ სახას-ძე მაღნარაძის** გარდაცვალებას.

მთავარკონდიტერის სამმართველოს მუშამოსამსახურენი იუწყებიან მ. მესხის დედის **სოფიოს** გარდაცვალებას.

თამარ, მარგარიტა, გივი ქვანიები იუწყებიან მამიდაშვილის **ალიოშა სამსონის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას.

შვილები სიმონ, ელისო, თამარ, რუსუდან, ამირან, სიძეები, ზაქარი, გერმანე იუწყებიან, რომ 8/VII, 6 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსანდრა ძამაშვილის** პანაშვიდი.

პეპიკო, ელენე, ცაცა, პლატონ, ლუბა სანიკიძეები იუწყებიან რძლის **ნიტო სანიკიძე-თაყაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VII, 6 ს. კლარა ცეტკინის, 73.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3.63.03, პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3.81.84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3.72.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.93, სამხედრო, ლიტერატურისა—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 07955